

ინოვაციური პროცესების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე



დაპირისპირი მათარებელი

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესიონალი

DAVID KATAMADZE

Doctor of Economics, Shota Rustaveli State University, Associate Professor. Georgia

ანოტაცია

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნების მიერ გამოიყენება ინოვაციური პოლიტიკის წარმართვის სამი – ტრადიციული, იმპლიციტური და ექსპლისიტური მოდელი. ტრადიციულ მოდელში ინოვაციის ათვისება უკავშირდება შედარებით ვიწრო ამოცანის გადაწყვეტას: მრეწველობის და კვლევის შექავშირებას საგანგებო პროგრამების მეშვეობით. იმპლიციტურ მოდელში ინოვაციებისადმი სწრაფვა თან სდევს ეკონომიკური სტრუქტურის მუშაობას. ის არაა „ჩილვადი“ იმ თვალსაზრისით, რომ არ უკავშირდება სახელმწიფოს სათანადო ჩარევას მრეწველობის განვითარებაში.

საქართველოს შეუძლია, ინოვაციური პოლიტიკის არსებულ მოდელებს შორის აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებს საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის გარდაქმნას ინოვაციების ათვისების მეშვეობით. საზღვარგარეთის ქვეყნებში განვითარებული ინოვაციური პროცესებისა და საქართველოში შექმნილი მდგრადი მოდელების შესახებ ჩვენ მიერ წარმოებულმა კალეგებმა აჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბებას, თავისუფალი კონკურენციის

პირობებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, შესაბამისი სტანდარტების დამუშავებას, მათი დაცვისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის კონტროლს. ის ხელს უნდა უწყობდეს მეცნიერებასა და მრეწველობას შორის კავშირების განმტკიცებას, უზრუნველყოფდეს ფირმებს სარისკო კაპიტალით და ინოვაციების ბაზრის შესახებ ინფორმაციით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოში ინოვაციური პროცესების განვითარებას. ნაშრომის ბოლოს მოცემულია ის რეკომენდაციები, რომელთა გატარებაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნაში ინოვაციური პოლიტიკის სწორად წარმართვას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური პროცესები, ინოვაციური პოლიტიკა, ტექნიკური კულტურა, ტექნოლოგიური მწარმოებლურობა, ოპერაციული კერძივიაცია, სახელოვნო კვალიფიკაცია, სამრეწველო ინფრასტრუქტურა, ინდუსტრიალური დივერსიფიცირება.

IMPACT OF INNOVATIVE PROCESSES ON THE ECONOMY GEORGIA

Abstract

At the present stage of the country by using innovative policy three-traditional, implicit and ek-splisituri model. Mastering the traditional model of innovation is associated with a relatively narrow solution: industry and research programs through special connections. Implicit model innovation of aspiration followed by all government agencies to operate. It is not "visible" to the point that has to do with the state of the industry in the development of appropriate intervention.

Innovative politics of the models can choose between a favorable option, through which it will be able to transform its economic and social infrastructure through the utilization of innovations. Foreign countries developed innovative processes in Georgia and the current situation in our research we have shown that our country's innovation politics should be based on the relevant legal regulation mechanism, free competition conditions and intellectual property protection, the standards process, their protection and industrial production quality control. It should contribute to the strengthening of ties between science and industry, venture capital firms that provide services and information about innovations market. The research identified the problems that hinder the development of innovative process in Georgia. At the end of the paper's recommendations, the implementation of which will help our country to conduct innovative politics.

Key words: Innovative processes, innovative policy, technical culture, technological productivity, operating skills, craft skills, industrial innovation, industry diversification.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში ინოვაციების სფეროში დაგროვილი უახლესი მიღწევების ათვისებით განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან განვითარებადი ქვეყნები, რომელთაც სურთ, ერთის მხრივ, უკეთ გამოიყენონ მათ მფლობელობაში არსებული აქტივები, მეორე მხრივ კი, ისწრაფების ინდუსტრიალიზაციის სფეროში საზღვარგარეთ დაგროვილი ინოვაციების, ცოდნისა და გამოცდილების ათვისებისკენ.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მათ განახორციელონ შესაბამისი ინოვაციური პოლიტიკა. განვითარებადი ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ორ პრინციპს: 1. ეკონომიკის ინოვაციებით უზრუნველყოფას; და 2. სახელმწიფოს მხრიდან მრეწველობის საექსპორტო პოტენციალის განვითარების აქტიურ ხელშეწყობას.

ნაშრომის კვლევის მიზანია ვაჩვენოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინოვაციური პოლიტიკის სწორად წარმართვა საქართველოს ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლების თვალსაზრისით. სტატიის კვლევის ამოცანაა ვაჩვენოთ, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის სწრაფი განვითარების ერთადერთი გზაა არა საკუთარი ინოვაციური პროცესების დამუშავება (რაც ძალზე შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია), არამედ საზღვარგარეთ აპრობირებული ინოვაციური პროცესებისა და ტექნოლოგიების გადმოტანა (რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დროისა და შატერიალურ-ფინანსურ დანაკარგებს). კვლევის ორიგინალობა მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში გამოვლენილია ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ინოვაციური პროცესების სწორი მენეჯმენტის შედეგად საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი ეფექტის მაქსიმალურ ამოქმედებას. ავტორის წალილი ამ სფეროში გამოიხატება იმ პრობლემების კვლევაში, რაც ხელს უშლის ინოვაციური პოლიტიკის წარმართვის ბერკეტების დროულ და რაციონალურ გამოყენებას. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა უცხოური ქვეყნების ინოვაციური პროცესების შესახებ მონაცემთა თავმოყრის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, აგრეთვე საქართველოს ინოვაციურ პროცესებზე დაკვირვების, შედარებისა და ანალოგიის გატარების მეთოდები.

საქართველოში ინოვაციური პროცესების განვითარების კომპლექსური შეფასებისთვის საჭიროა, განვიხილოთ ერთ დროს ჩამორჩენილი და სწორი ინოვაციური პოლიტიკის გატარების შედეგად დღეისთვის წარმატებული განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება ინოვაციური პროცესების განვითარების სფეროში. განვითარებადმა ქვეყნებმა, რომლებიც ინოვაციური „ბრძოლის წინა ხაზზე“ არ იმუშავებიან, ადგილობრივი ინდუსტრიის მწარმოებლურობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება შეიძლება სცადონ საკუთარი კვლევის გაფართოებისა და ახალი ცოდნის დამუშავებლად შეძენის გზით, მაგრამ მათი

ეკონომიკის განვითარების ასეთი სტრატეგიის არჩევა ბევრად უფრო ზანგრძლივი და როგორია. ვიდრე უკვე არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში არსებობდა ინოვაციების ინტენსიურად ათვისების შესაძლებლობები, ხოლო ინოვაციური პროცესების განვითარების პოტენციალი კი, შესაბამისად, არსებობდა მრავალი მიზანი.

განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ინოვაციური პროცესები მოიცავს ადგილობრივი მეწარმეების მიერ ახალი ინოვაციების ან სამუშაო პრაქტიკის ათვისებას, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებლადაა იგი შემუშავებული თუ შეძენილია ტრანსფერის მეშვეობით. ამ პროცესს შედგად მოჰყვა ხელმისაწვდომი ინოვაციების აღაპტირების მეშვეობით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივ ინდუსტრიაში პროგრესული მიღწევების გამოყენების საფუძველზე ახალი დარგების შექმნა, დამოუკიდებლად განვითარებული ინოვაციების სამეწარმეო ათვისების შედგად სახელმწიფოს მიერ გლობალური კონკურენტუნარიანობის შეძენა.

განვითარებადი ქვეყნების მიერ ინოვაციების განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანების რეალიზაცია მოთხოვს შესაბამისი ტექნიკური კულტურის დამკაიდრებას, მეწარმეობის მასტიმულირებელი ინიციატივების ხელშეწყობას. ამ შემთხვევაში სულაც არ არის აუცილებელი, განვითარებადი ქვეყანა ბრძან მისდევდეს ინდუსტრიული ქვეყნების პრაქტიკიდან აღებულ მოდელს, რომლის მიხედვითაც ინოვაცია იწყება და ვთარდება ორიგინალური კვლევებიდან. სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ჩატარება და მათ საფუძველზე ტექნოლოგიების განვითარება შეუძლიათ მხოლოდ მრავალი განვითარებულ ქვეყნებს.

იმისთვის, რომ ინოვაციური პროცესები დაინერგოს განვითარებად ქვეყნებში, საჭიროა, მათ აქ დახვდეს სათანადო ტექნიკური გარემო. ამით დაბალშემოსავლიან ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლევათ, სხვების ინდუსტრიული მიღწევების ათვისებით მიაღწიონ სამრეწველო ინოვაციების თანდათანობით ჩანაცვლებას და გაუმჯობესებას, როგორც მიერო-, ასევე მაკროდონებზე [1. გვ.-84]. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ტექნიკური კულტურისა და განათლების როლი, რადგანაც სწორედ ისინი განსაზღვრავენ ინოვაციური პროცესების მიმართ კომპანიების მგრძნობელობას, ქმნიან გლობალურ ცოდ-

ნასთან მიერთების, სტრატეგიულ ალიანსებში, ერთობლივ კვლევებში, საკომუნიკაციო და სხვა სახის ქსელებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

სამრეწველო ფირმები ინოვაციური პროცესების მწარმოებლურობის „აკრეფას“ იწყებენ ოპერაციული და სახელობო კვალიფიკაციის შეძენიდან. შემდგომ სტადიაზე ისინი უკვე დამოუკიდებლად აპროექტებენ და ამუშავებენ ნაწარმს. სამრეწველო ინოვაციების შექმნისთვის კვლევა მათში უფრო გვიან იწყება, მაშინ, როდესაც დაგროვდება ამისთვის აუცილებელი ინტელექტუალური და ფინანსური კაპიტალი.

თანამედროვე მსოფლიოში მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუწყო ხელი ოდესლაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი მცირე ქვეყნების სწრაფ განვითარებას სწორად დაგვმილმა, სათანადოდ რეალიზებულმა ინოვაციურმა პოლიტიკამ. საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს მავრიკიის, პონგ-კონგის, თურქეთის, ტაილანდის, მალაიზიისა და ფინეთის მაგალითი.

მავრიკიამ, ამ პატარა და ოდესლაც უდარიბებების ქვეყანამ, მოკლე პერიოდში 1984 წლიდან, 10 წლის განმავლობაში შეძლო, გაეორმაგებინა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, რომელმაც 1995 წელს 2.200 დოლარს გადააჭარბა, რაც იმ დროისთვის განვითარებადი ქვეყნების იმპიათი მიღწევა იყო. თუ 1983 წელს აქ უმუშესრობის დონე იყო 20%, 1988 წელს ეს მაჩვენებელი 4%-მდე დაეცა. ყოველივე ეს მიღწეული იქნა მავრიკიის მიერ მრავალ სფეროში წარმატებით გატარებული რეფორმების შედეგად. 1984 წელს ამ ქვეყნის მთავრობამ მკვეთრად შეამცირა საგადასახადო განაკვეთები, მოხსნა კვოტები იმპორტზე და დაარსა ე.წ. საექსპორტო წარმოების ზონები, რომლებშიც ექსპორტისთვის განკუთხილი პროდუქცია იწარმოება ზედმეტი ბიუროკრატიული შეზღუდვების, საქონლისა და კაპიტალის იმპორტისთვის ხელის შეშლის გარეშე. შედგად, მრავალმა აზიურმა კომპანიამ მავრიკიაში დაარსა საკუთარი ოფშორული საწარმოები. ეს პროცესი ჯერ გადამამუშავებელ მრეწველობაში დაიწყო და მავრიკია შალის ექსპორტის მიხედვით მესამე ადგილზე გავიდა მსოფლიოში. ამჟამად, მან თითქმის შეწყვიტა ქსოვილის წარმოება და წარმატებით ახდენს მისი ინდუსტრიის დივერსიფიცირებას, ითვისებს რა საიუველირო და ნავთობ-ქიმიურ წარმოებას.

პონგ-კონგის ინდუსტრიული განვითარება კიდევ უფრო მეტ შთაბეჭდილებას ტოვებს. 1970 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 800 დოლარს შეადგენდა. 1992 წელს კი ამ მაჩვენებელმა 15 ათას დოლარს გადააჭარბა, ანუ მაღწია ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეს. ეს ნახტომიც ამ ქვეყანაში მრეწველობის ინოვაციური დარგების განვითარების პრიორიტეტულობამ განაპირობა.

თურქეთმაც აირჩია ინდუსტრიული განვითარების მსგავსი გზა. იგი დაახლოებით 50-70 წლის განმავლობაში ნელლეულის ექსპორტიორი და მძიმე ინდუსტრიას, რომელი ნაწარმის (ნაკეთობის) იმპორტიორი ქვეყნიდან, მაღალი დამატებული ღირებულების მქონე ნაწარმისა და მძიმე მრეწველობის პროდუქციის მსოფლიო მიმწოდებლად გადაიქცა. ეს კი მიღწეული იქნა იმ მიზანმიმართული ინოვაციური პოლიტიკის გატარების შედეგად, რომელიც ჯერ (1930-70 წლებში) იმპორტის ჩამნაცვლებელი დარგების, შემდგა კი ექსპორტზე ორიენტირებული მრეწველობის განვითარებას ითვალისწინებდა. განვითარების აღნიშნული პროცესი თავისუფალი არ იყო გაუთვალისწინებელი პრობლემებისგან. განსხვავებით ლათინური ამერიკის და სამხრეთ-ადროსავლეთ აზიას რიგი ქვეყნებისგან, იმპორტჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის პირველი ფაზის დასრულებისთვალისავე, თურქეთმა შეძლო წარმატებით ჩართულიყო კონკურენციაში. ბოლო დროს თურქეთის მრეწველობამ შეძლო ტელეკომუნიკაციის სფეროში რამდენიმე ისეთი ინოვაციური სიახლის დანერგვაც, რომელთა დამუშავების საფუძველი საკუთარი კვლევითი პროექტების შედეგები გახდა. [3. გვ-23]

ინოვაციური პოლიტიკის გამოყენების საფუძველზე ეკონომიკის წარმატებით განვითარების კარგი მაგალითია ტაილანდი, მალაიზია და ფინეთი. მაგ., ინოვაციური პოლიტიკა ფინეთის განვითარების სტრატეგიის საფუძველია. ის აერთიანებს სახელმწიფო მართვას ორგანიზების, პროფესიონალების, სხვა სახოგადოებრივ ინსტიტუტთა და კერძო ბიზნეს-სტრუქტურების ძალისხმევას. ექსპერტთა შეფასებით, თანამედროვე ეტაპზე ამ ქვეყნებს აქვთ რეალური შანსი, გადაიქცნენ მსოფლიოს ყველაზე კონკურენტულარიან ქვეყნებად, რასაც ისინი სწორებ შედეგიანი ინოვაციური პოლიტიკის გატარების მეშვეობით აღწევენ. მათ მიერ განხორციელებული ინოვაციური პოლიტიკა ემყარება სპეციალ-

ური ინოვაციური პროცესების მხარდაჭერას, რეგიონულ სამეწარმეო დონეზე ინოვაციების ათვისების სტიმულირებასა და დარგთაშორისი ბალანსის კოორდინაციაში ინოვაციის როლის დადგენას [4. გვ-24].

თვისებრივად შეგავსი თანამიმდევრობით უნდა დაინერგოს ინოვაციური პროცესები საქართველოშიც, რომლის კრიზისიდან გამოსვლის გრძელვადიანი სტრატეგიაც სწორებ ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციაზე უნდა გადიოდეს. ჩვენს ქვეყანას შეუძლია ინოვაციური პოლიტიკის ზემოთ განხილულ მოდელებს შორის აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებს საბაზო ინფრასტრუქტურის გარდაქმნას სამრეწველო ინოვაციების ათვისების მეშვეობით.

საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების განვითარებას, თავისუფალი კონკურენციის პირობებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, სტანდარტების შექმნას და შესრულებას, იურიდიული სისტემის მუდმივ სრულყოფას, ბიუროკრატიის შემცირებასა და მეწარმეებისთვის სხვა, ხელისშემშლელი ბარიერების მოხსნას. იგი ხელს უწდა უწყობდეს მეცნიერებასა და მრეწველობას შორის კავშირების განმტკიცებას, უზრუნველყოფდეს სამეწარმეო კომპანიებს საწყისი და სარისკო კაპიტალის წყაროებით, უქმნიდეს მათ სათანადო მატერიალურ, ინფორმაციულ და კულტურულ გარემოს.

მეწარმეთათვის ტექნიკური, ფინანსური, კომერციული, იურიდიული და სხვა სახის დახმარების განვითარების დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას – მცირე ბიზნესის ინკუბატორებს, ინდუსტრიულ პარკებს, მუდმივმოქმედ საინფორმაციო ცენტრებს, რომლებიც ექსპერტულ მომსახურებასა და სხვა რესურსებს მიაწვდის დამწერებ ფირმებს. მნიშვნელოვანია ფინანსური დახმარების სხვადასხვა ფორმების არსებობა, დაწყებული მიკროდაფინანსებიდან, ვენჩურული (სარისკო) კაპიტალის ფირმებით და ფონდებით დამთავრებული.

ამასთან, ჩვენს ქვეყანაში გასათვალისწინებელია ინოვაციის მომწიფების კვალობაზე, ფინანსური მოხხოვნილების ცვლილების ხასიათი. საქართველოში ინოვაციური პროცესის რეალიზაციაც უნდა მოხდეს შემდგა თანმიმდევრობით: ჯერ უნდა მოხდეს იდეის

ფორმულირება, შემდგე ახალი პროდუქციის წარმოების ათვისება და რეალიზება, როგორც ქვეყნის მიგნით, ისე საზღვარგარეთ. ამისთვის საჭიროა ჩვენს ქვეყანაში მოხდეს უცხოური კაპიტალის მოზიდვა, შემდეგ შეიქმნას ინოვაციური პოლიტიკისთვის ხელსაყრელი გარემო, „გადმონერგილ იქნეს” უცხოეთის უახლესი მიღწევები, ინოვაციური მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრესული მეთოდები.

კაპიტალით დახმარების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში დამწეული სამრეწველო ფირმებს, განსაკუთრებით რეგიონებში, არ გააჩნიათ ნაწარმის დაპროექტების, გამოცდისა და წარმოების მოსაწყობად საჭირო ფინანსური რესურსები. საქართველოში ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებით დახმარების გაწევა გულისხმობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ინკუბატორების, ტექნოპარკების, საკონსულტაციო ცენტრებისა და სხვა) ქსელის შექმნას. მათი შეშვებით ქვეყანა დამწეული მეწარმეებს უზრუნველყოფს ოფისებით, უქმნის გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი მოქმედების საშუალებას.

უცხოეთის უახლესი მიღწევების, ინოვაციური მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრესული მეთოდების ტრანსფერის მშევრებით საქართველოს მიმართ გაწეული აქტიური დახმარება ითვალისწინებს გამოცდილი უცხოელი ექსპერტების მხრიდან კონსულტაციების მიღებას, მათ აქტიურ მონაწილეობას ახალი ნაწარმის დაპროექტებასა და გამოცდაში, საბაზრო პოტენციალის კვლევაში, დამწეულების ფირმების პერსონალის ტრენინგში, დახმარებას პრეზენტაციების ჩატარებასა და საცდელ პროექტთა რეალიზებაში და ა. შ. ჩვენი ქვეყნისთვის გაწეულმა ინფორმაციულმა დახმარებამ უნდა გაარკვიოს მეწარმეები სპეციალურ პროგრამებში, ხელმისაწვდომი გახადოს შესაბამისი მონაცემები, მაგ.; საბაზრო მოთხოვნისა და სამრეწველო ინოვაციების შესახებ.

საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქეთ, რომ ინოვაციებმა სტიმული მისცეს ახალ კვლევებს, ხელი შეუწყოს მათი წარმოებისთვის საჭირო რესურსების გენერირებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის წინსვლის მიმანიშნებელი კრიტერიუმი. ინოვაციური კვალიფიკაციის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ სამეცნიერო კვლევების შედეგად, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური პროცესების ცენტრები და ა. შ.

ების განვითარების ხელშემწყობ უმაღლეს ინსტიტუციონალურ სისტემას უნდა წარმოადგენდეს კვლევითი ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებები, სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციის ცენტრები და ა. შ.

საქართველოში უცემელიანი ინოვაციური პოლიტიკას გატარების შედეგად, აქცენტი თეორიული (ფუნდამენტური) სამეცნიერო კვლევებიდან უნდა გადავიდეს გამოყენებით, პრაქტიკულ საკითხებზე, რომელთა თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ მოთხოვნილებასა და შესაძლებლობებს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელია მეცნიერების დისტანციორება პრაქტიკისგან. ამ პრობლემის დაძლევის ერთადერთი გზაა კვლევითი ორგანიზაციების დაფინანსებაში სათანადო მექანიზმების დროული გამოყენება. საქართველოსთვის მიზანშეწონილია მეცნიერების დაუკინანებების ისეთი მექანიზმის ამოქმედება, რომელშიც ბიუჯეტის 50-70% უნდა შეექმნას გარანტირებული რესურსებისგან, მაგ., სახელმწიფო ფინანსებისგან, ხოლო დარჩენილი 30-50% კი – კონტრაქტის საფუძველზე, სარისკო (ვენჩურული) კაპიტალისგან, მაგ., კერძო ბიზნესისგან. მაგ., ფინეთში კვლევასა და განვითარებაზე ბოლო პერიოდში ინვესტირებული სახსრების ნახევარზე მეტი მხოლოდ ერთი კომპანიისგან – ნოკასეგან მომდინარეობდა [5. გვ-50]. გასაგებია, რომ დაფინანსების მსგავსი წყაროების გამოყენება ჩვენი ქვეყნის ინოვაციური კვლევების განხორციელებისთვის ნაკლებად შესაძლებელია. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანია ინოვაციურ კვლევაზე სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ფინანსური დახმარების გაწევა.

დასკვნა

ამრიგად, 1990-იან წლებში განვითარებულმა გლობალურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ძრვები მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაში. ქვეყანაში გამოიკვეთა მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით ინოვაციური პოლიტიკის არასრულყოფილი მენეჯმენტი, საწარმოთა მიერ მორალურად გაცემით ტექნოლოგიების ფლობა და ინოვაციური პროცესების განვითარების საქმაოდ დაბალი დონე. საქართველო ვერ შეძლებს საკუთარი მატერიალური და ფინანსური სახსრებით თავისი ინოვაციური ტექნოლოგიების დამუკიდებლად გამოგონებას, გამოცდასა და დანერგვას, ამიტომ დღის წესრიგში დგება სწორი ინოვაციური პოლიტიკის

06. ინოვაციური პროცესების განვითარება საქართველოს ეკონომიკაზე

გატარების შედეგად წარმატებული ქვეყნების მიერ ინოვაციური პროცესების განვითარების სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაღმინერვების აუცილებლობა.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოში ინოვაციური პროცესების არაეფექტური მენეჯმენტის ნიშნების გამოვლენაში. ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ ინოვაციური პროცესებისა და ინოვაციური პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს, მკლევარებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს, ხოლო კვლევის პრაქტიკული შედეგები კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საცდელ-საკონსტრუქტორო ლაბორატორიების, ინოვატორ-მეწარმეების, ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციით დაკავებული სხვა აღმასრულებელი ორგანოების მუშაკთა მიერ.

რეკომენდაციები. ამრიგად, საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ინოვაციური პოლიტიკისა და კვლევითი პროცესების სწორად წარმართვას, რისთვისაც საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ინოვაციური პროცესების ინტენსიური

განვითარების მიზნით საჭიროა, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ წარმართოს ისეთი ინოვაციური პოლიტიკა, რაც შექმნის პროგრესული სამრეწველო ინოვაციების მოზიდვის ხელსაყრელ გარემოპირობებს;

2. საქართველოში უნდა ამოქმედდეს ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელთა ფუნქციონირება მეწარმეებს მისცემს ლოგალურად არსებული რესურსებისა და გლობალური ბაზრების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების შესაძლებლობებს;

3. საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის მთავარ ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს უცხოეთის სამრეწველო ინოვაციების მიღებაში იმ კომპანიებზე დახმარება, რომელთაც ორგანიზაციული თუ ფინანსური პრობლემების გამო, არ შეუძლიათ მათვის სასურველი პროგრესიული ინოვაციების დამოუკიდებლად შეძენა;

4. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ინოვაციურ კომპანიებზე დახმარების გაწევა უნდა უკავშირდებოდეს მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შესახებ მათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, სტანდარტების დამუშავებას, მათი დაცვისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის კონტროლს.

ლიტერატურა:

1. **სამადაშვილი ა.** სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი. გამოცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009.გვ. 239 {A Samadashvili. Management Entrepreneurial and Technological Innovation. Publishing House «Technical University», Tbilisi, 2009. pg. 239};
2. **S. Maital** Executive Economics, FREE PRESS, 1995;
3. **Paul Trott** “Innovation Management and New Product Development”, Third Edition, Prentice Hall, 2004
4. “Building of Knowledge Economies: Advanced Strategies for Development”, WBI Development Studies, The World Bank, Washington, D.C., 2007]
5. Hans-Peter Martin, Herald Shumann “Die Globalisierungsfalle”, Rowohlt Verlag GMBH, 1996.